ოქმი:**ო63. 6326097001**
თარიღი:**07/04/2026**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი N 10

ქ. სამტრედია. 6 აპრილი, 2026 წელი.

2026 წლის 6 აპრილს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ვაჟა სტურუას, თავმჯდომარეობით ჩატარდა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ვაჟა სტურუა, მანანა სირბილაძე, გოჩა არველაძე, მერაბ უღრელიძე, ნუგზარ ნუცუბიძე, თენგიზ ცაგურია, პაატა კოხრეიძე.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

1. საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, აპარატის უფროსი, ნორა იანიკოვი.

2. საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ქალისა და მამაკაცის თანასწორობის საკითხებში, თამილა კეკელიძე.

3. საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში, ნატო ჯულაყიძე.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო:

დღის წესრიგი

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის, დავით ბახტაძის, დროებითი შრომისუუნარობის შესახებ, ინფორმაციის ცნობად მიღების თაობაზე.

/მომხსენებელი: ვაჟა სტურუა/

2. სხვადასხვა

კენჭისყრის შედეგად (7 ხმით), მიღებულია დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 6 აპრილის N62-6226096105 ***წერილობითი*** მომართვა, რომელიც ეხება სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 06 აპრილიდან 2026 წლის 12 აპრილის ჩათვლით დროებითი შრომისუუნარობის შესახებ ინფორმაციის ცნობად მიღებას.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 56- ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე''-ქვეპუნქტის თანახმად, მერის უფლებამოსილების შეჩერების საფუძველია დროებითი შრომისუუნარობა, მე-3 პუნქტის თანახმად, მერის უფლებამოსილების შეჩერების ვადა განისაზღვრება დროებითი შრომისუუნარობის ვადით, ხოლო მე-4 პუნქტის თანახმად, ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრული ფაქტების შესახებ, ინფორმაციას, გარდა მე-2 პუნქტის „ზ"–„ი" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, მუნიციპალიტეტის საკრებულო ცნობად იღებს და აფორმებს საკრებულოს სხდომის საოქმო ჩანაწერით. მერს უფლებამოსილება უჩერდება შესაბამისი ფაქტის დადგომის მომდევნო დღიდან. ასევე გაცნობებთ, რომ საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 56-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, 2026 წლის 06 აპრილიდან 2026 წლის 12 აპრილის ჩათვლით, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის დროებითი შრომისუუნარობის გამო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შესრულება დაეკისრება სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს, ამირანი თევდორაძეს.

(მომართვის N62-6226096105 6/04/2026 წ. საკრებულოს რეგისტრაციის **N:12-63260965-63 6/04/2026** წ.)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, განმხილველ კომისიად განისაზღვრა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისია.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვა დასრულებულია.

სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე.

ვაჟა სტურუა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი